# თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს

## დადგენილება №2

## 2011 წლის 31 იანვარი

ქ. ბათუმი

# ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადების შემოღების შესახებ

*ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის დადგენილება № 13 - ვებგვერდი, 03.06 . 201 5 წ.*

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის წლიური საბაზისო განაკვეთების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 23 დეკემბრის №394 დადგენილების, საქართველოს საგადასახადო კოდექსის IX კარის XXIX თავის და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულო **ადგენს:**

1. თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ტერიტორიაზე შემოღებულ იქნეს ადგილობრივი გადასახადი – ქონების გადასახადი.

2. ქონების (გარდა მიწისა) გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვროს:

ა) რეზიდენტი საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის – მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხული აქტივების, დაუმონტაჟებელი მოწყობილობების, დაუმთავრებელი მშენებლობის და არამატერიალური აქტივების, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემული ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების 1%-ს. ამასთან:

ა.ა) ადგილობრივი სამგზავრო-სატრანსპორტო გადაზიდვისას ავტობუსებისათვის (M3 კატეგორია – 5 ტონაზე მეტი), მათ ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხული აქტივების, დაუმონტაჟებელი მოწყობილობების, დაუმთავრებელი მშენებლობის და არამატერიალური აქტივების, საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების გადასახადის წლიური განაკვეთი შეადგენს 0,01 პროცენტს, 2019 წლის 1 იანვრამდე;

ა.ბ) წყლის მიწოდებისა და წყალარინების საქმიანობის სფეროში გამოყენებული ძირითად საშუალებად აღრიცხული აქტივების, დაუმონტაჟებელი მოწყობილობების, დაუმთავრებელი მშენებლობის და არამატერიალური აქტივების, საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების გადასახადის წლიური განაკვეთი შეადგენს 0,01 პროცენტს, 2019 წლის 1 იანვრამდე;

ა.გ) საყოფაცხოვრებო და სამედიცინო ნარჩენების მართვის სფეროში გამოყენებული ძირითად საშუალებად აღრიცხული აქტივების, დაუმონტაჟებელი მოწყობილობების, დაუმთავრებელი მშენებლობის და არამატერიალური აქტივების, საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების გადასახადის წლიური განაკვეთი შეადგენს 0,01 პროცენტს, 2019 წლის 1 იანვრამდე. ***(ა.ა; ა.ბ და ა.გ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რეგულაციები გავრცელდეს 2017 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)***

ბ) ფიზიკური პირებისათვის:

ბ. ა) 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებზე – საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით;

ბ. ბ) 100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებზე – საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0,8 %-ის ოდენობით.

*თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 12 მარტის დადგენილება № 14 - ვებგვერდი, 21 .0 3 .2012წ.*
*ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის დადგენილება № 13 - ვებგვერდი, 03.06 .201 5 წ.*
*ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2017წლის 31 მაისის დადგენილება №10- ვებგვერდი, 02.06.2017წ.*

3. საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის ლიზინგით გაცემულ დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვროს დასაბეგრი ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსთვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით) 1 პროცენტის ოდენობით.

4. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით განისაზღვროს:

ა) საძოვრებისათვის (ბუნებრივი, გაკულტურებული) – 15 ლარი;

ბ) სათიბებისათვის (ბუნებრივი, გაკულტურებული) – 18 ლარი;

გ) სხვა მიწებისათვის (კარგი, მწირი) – 94 ლარი.

*თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 14 აპრილის დადგენილება №21- ვებგვერდი, 18.04.2011წ.*

5. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთები განისაზღვროს გადასახადის საბაზისო განაკვეთის (0.24 ლარი) გამრავლებით ტერიტორიულ კოეფიციენტზე (ცენტრალური ზონა – 1.3, შუალედური ზონა – 1.0, პერიფერიული ზონა – 0.7). აღნიშნულიდან გამომდინარე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთები 1მ$^2$ განისაზღვროს:

ა) ცენტრალური ზონა – 1.3 X 0.24 = 0.31 ლარის ოდენობით;

ბ) შუალედური ზონა – 1.0 X 0.24 = 0.24 ლარის ოდენობით;

გ) პერიფერიული ზონა – 0.7 X 0.24 = 0.17 ლარის ოდენობით.

6. ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე პირისათვის შესაბამისი ლიცენზიის გაცემის საფუძველზე გამოყოფილი მიწა იბეგრება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისათვის ერთ ჰექტარზე 2 ლარის ოდენობით.

7. ქონების გადასახადისაგან გათავისუფლდეს:

ა) მრავალბინიან სახლში მცხოვრები ფიზიკური პირის თანასაკუთრებაში არსებული ფართობის პროპორციულად განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტი (მიწის ფართი);

ბ) საცხოვრებელ სახლებზე ან/და ავტოფარეხებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები.

*თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 14 აპრილის დადგენილება №21- ვებგვერდი, 18.04.2011წ.*

8. ამ დადგენილების მე-5 პუნქტში მოცემული ზონები (ცენტრალური, შუალედური და პერიფერიული ზონა) და მათი საზღვრები განისაზღვრება თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს ცალკე ნორმატიული აქტით.

9. ქონების გადასახადის გამოანგარიშების წესი და ქონების გადასახადისაგან გათავისუფლების შემთხვევები განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

10. ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადების შემოღების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2007 წლის 30 იანვრის №1-4 დადგენილება.

11. დადგენილება ამოქმედდეს დადგენილი წესით მისი გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე გ. კირთაძე**